

პუნქტი 1.1. შესყიდვის ობიექტის დასახელება

სამტრედიის მუნიციპალიტეტი სოფელი დიდი ჯიხაიში (საკადასტრო კოდი 34.02.50.038) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის ადმინისტრაციული კორპუსის და სპორტდარბაზის რეაბილიტაციისთვის საჭირო საძიებო სამუშაოების ჩატარება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

პუნქტი 1.2. ტექნიკური დავალება

1.2.1. დასაპროექტებელი ობიექტის მოკლე აღწერა და საპროექტო დოკუმენტაციაში გასათვალისწინებელი სამუშაოების ჩამონათვალი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიშში მდებარე (ს/კ 34.02.50.038) კოლეჯის ადმინისტრაციული კორპუსში №DAP20000009 სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში ჩატარებული (შეჩერებული) სამშენებლო სამუშაოების აღრიცხვა და არსებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დასრულებისთვის საჭირო ხარჯთაღრიცხვის და დეფექტური აქტის გამზადება, არსებული შესრულებული სამუშაოების ხარისხის გათვალისწინებით (უხარისხოდ შესრულებულის დემონტაჟი და თავიდან შესრულება). ასევე ტერიტორიაზე განთავსებული სპორტდარბაზის (ზომით:50X26 მეტრი) სრული რეაბილიტაციისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

1.2.3. გასაწევი მომსახურების ეტაპები, ძირითადი მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

გასაწევი მომსახურება შედგება შემდეგი 2 (ორი) ეტაპისაგან:

I ეტაპი - საძიებო სამუშაოები, საპროექტო ტერიტორიის კვლევა;II

ეტაპი - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

I ეტაპი

მომსახურების I ეტაპზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს - საძიებო სამუშაოების ჩატარება და საპროექტო ტერიტორიის კვლევა.

I ეტაპზე განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალი:

1) ადმინისტრაციული შენობა, საკონფერენციო დარბაზი, ტერიტორიის კეთილმოწყობა და არსებული საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების ჩამონათვალი:

პრეტენდენტმა უნდა შეისწავლოს უკვე არსებული საპროექტო დოკუმენტაცია და ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, განსაზღვროს ჩატარებული და ჩასატარებელი სამუშაოების რაოდენობები (მოცულობები, ფართობი) და დაიანგარიშოს არსებული პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სამუშაოები, მათ შორის გათვალისწინოს სამუშაოების შესრულების ხარისხი და უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნას მისი სამშენებლო ნორმებსა და წესების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად საჭირო ღონისძიებები.

2) სპორტული დარბაზის შენობის რეაბილიტაციისთვის განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალი:

- საკადასტრო ინფორმაცია, ტერიტორიის ტოპოგრაფიული გადაღება და გეოლოგიური შესწავლა.

- ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობების შესწავლა, მათი მდგრადობის დადგენა, მზიდი ელემენტების ლაბორატორიულად შესწავლა, ფუძე საძირკვლების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების მომზადება.

- არსებული შენობის/ნაგებობის საძირკვლების ტიპის დადგენა, ზომების და ჩაღრმავების განსაზღვრა, ლაბორატორული კვლევის შედეგები და რეკომენდაციები.

- შენობა ნაგებობების აზომვითი ნახაზები;

- პირველადი ინფორმაცია გარე საინჟინრო კომუნიკაციებთან და ქსელებთან დაკავშირებით, ობიექტის ელექტროენერგიით, სასმელი წყლით და საკანალიზაციო ქსელით უზრუნველსაყოფად.

მომსახურების I ეტაპზე წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

უკვე არსებული პროექტის ნაწილში პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი დეფექტებისა და ხარვეზით შესრულებული სამუშაოების მითითებით და მათი აღმოფხვრის და გადაწყვეტისთვის საჭირო სამუშაოების ჩამონათვალი

სპორტული დარბაზის შენობის სარეაბილიტაციო ნაწილში პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს პროექტის განმარტებითი ბარათი სადაც აღწერილი უნდა იყოს არსებული მდგომარეობა და საპროექტო გადაწყვეტილებები (უნდა დაერთოს საჭირო ანგარიშები, დასკვნები, სქემები, ცხრილები, ფოტომასალა და ა.შ.), მოცემული უნდა იყოს სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოთა ჩამონათვალი. განსაზღვრული უნდა იყოს შენობა-ნაგებობების კლასი მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად).

• ტოპო-გეოდეზიური კვლევა უნდა მოიცავდეს მინიმუმ:

დასაგეგმარებელი ობიექტის გლობალური სიტუაციური გეგმის დამუშავებას არსებულ აგეგმვებზე დაყრდნობით წვრილ მასშტაბში (1:5000 ან 1:10000); ლოკალური ტოპოგრაფიული გადაღებების შესრულება უშუალოდ შენობა-ნაგებობების განთავსების ადგილებში მსხვილ მასშტაბში (1:200 ან 1:500); შენიშვნა-აგეგმვებზე დატანილი უნდა იქნეს მყარი გეოდეზიური ნიშნულები GPS- კოორდინატთა სისტემაში ხოლო მისი შესაბამისი ფიზიკური წერტილები ჩამონოლითდეს ტერიტორიაზე. თითოეული აგეგმვისათვის განხორციელდეს მინიმუმ ორი წერტილის დამაგრება; ტოპოგრაფიულ გადაღებებზე დატანილ უნდა იქნეს დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციები (ასეთების არსებობის შემთხვევაში);

დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი წყალსატევებისათვის ჰიდროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემების მოძიება. (უშუალოდ წყალსატევების სიახლოვეს განთავსებული შენობა-ნაგებობებისათვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.); საკადასტრო დოკუმენტაცია (საპროექტო და არსებული მდგომარეობის ტოპოგეგმაზე დატანით, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის გეგმა საკადასტრო საზღვრების და კოდის მითითებით); ინფორმაცია და სქემები კომუნიკაციების თაობაზე - სასმელი წყალი, კანალიზაცია,

ელექტრობა, გაზი - მათი დატანით ტოპოზე.

საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა -მ. 1:2000 ან 1:1000;

• საინჟინრო გეოლოგიური კვლევა უნდა მოიცავდეს მინიმუმ:

გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების განსაზღვრას და სრული გეოლოგიური კვლევის ანგარიშების შედგენას უშუალოდ შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილებში;

გეოლოგიური კვლევის მეთოდი განისაზღვროს შენობის სართულიანობის და საძირკვლებზე მოსალოდნელი დატვირთვების შესაბამისად მოქმედი პროექტირების ნორმების მიხედვით; საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური კვლევა ითვალისწინებს საველე სამუშაოებისა და აღებული სინჯების ლაბორატორიული გამოცდის საფუძველზე, მოედნის ამგები გრუნტების სახეობების გავრცელების სიღრმეების და მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების განსაზღვრას და სრული გეოლოგიური კვლევის ანგარიშების შედგენას. კვლევაში ასევე ასახული უნდა იყოს სამშენებლო მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობები: მიწისქვეშა წყლების გავრცელების დონე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ლაბორატორიული დასკვნები სამშენებლო მასალების მიმართ ამ წყლების აგრესიულობის ხარისხის შესახებ; არსებული შენობების საძირკვლების ტიპის დადგენა. საძირკვლების ჩაღრმავების და

საძირკვლის საყრდენი ფუძე გრუნტის განსაზღვრა;

• კონსტრუქციული დასკვნები უნდა მოიცავდეს მინიმუმ:

შენობის მზიდი ელემენტების ლაბორატორიული დასკვნა, რომელიც მოიცავს მზიდი ელემენტების სიხისტეებისა და წინაღობების დადგენას შესაბამისი ხელსაწყოებით; არსებული შენობა-ნაგებობების კონსტრუქციულ დასკვნას, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს გეოლოგიურ კვლევას, ლაბორატორიულ დასკვნებს და შენობა-ნაგებობების მზიდი ელემენტების განსაზღვრას; კონსტრუქციული დასკვნები შედგენილი უნდა იყოს აკრედიტებული სპეციალისტის (ექსპერტის) მიერ;

• აზომვითი ნახაზები უნდა მოიცავდეს მინიმუმ:

შენობების ნაგებობების აზომვით დეტალურ ნახაზებს: გეგმებს, ჭრილებს, ფასადებს და ა.შ. (მ.

1:100, 1:50);

II ეტაპი

პირველი კვლევითი ეტაპით მოპოვებული მასალის საფუძველზე, დამკვეთის შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით ესკიზური პროექტის მომზადება, რომელიც უნდა მოიცავდეს არსებული შენობის გადაგეგმარებას და ადაპტირებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. აუცილებელია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას გათვალისწინებულ იქნეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთათვის შენობის ადაპტაციის ღონისძიებები, ასევე პროექტის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის დადგენილება N41, 2016 წლის 28 იანვარი, შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები. მეორე ეტაპზე განსახორციელებელი სამუშაოები მოიცავს ესკიზური კონსტრუქციული პროექტის მომზადებას, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი განსახორციელებელი სარეკონსტრუქციო, სადემონტაჟო, სამონტაჟო და გამაგრებითი ღონისძიებები. კონსტრუქციულ პროექტს საფუძვლად უნდა ჰქონდეს პირველი ეტაპის შედეგად ჩატარებული სამუშაოები: აზომვითი ნახაზები, კვლევები და კონსტრუქციული დასკვნები. შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული დასკვნები და საპროექტო კონსტრუქციული პროექტი უნდა მომზადდეს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სპეციალისტების მიერ, რათა არ მოხდეს ინტერესთა თანხვედრაპროექტირების პროცესში.

მომსახურების II ეტაპზე წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

უკვე არსებული პროექტის ნაწილში წარმოსადგენია შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების დეტალური სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და დევექტური აქტი სამშენებლო სამუშაოების განხორციელების კალენდარული გრაფიკით.

სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის ნაწილში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი მოიცავს:

- ობიექტის გენერალური გეგმის ესკიზურ დამუშავებას;
- არსებული შენობა-ნაგებობების ესკიზური გეგმების დამუშავებას სართულების მიხედვით;
- ინტერიერის ძირითადი სივრცეების სამგანზომილებიანი გამოსახულებების დამუშავებას;
- აზომვით ნახაზებს, რომელიც სრულყოფილად უნდა მოიცავდეს სადემონტაჟო და სამონტაჟო სამუშაოებს;
- კონსტრუქციულ ნახაზებს განმარტებითი ბარათით, რომლებშიც დეტალურად უნდა იყოს აღწერილი სარეკონსტრუქციო სამუშაოები.
- კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები, შესაბამისი გაანგარიშებით და გაანგარიშების განმარტებითი ბარათით (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები და ნაკრები სპეციფიკაციები (მ. 1:100, 1:50, 1:25);
- ტექნოლოგიური მოწყობის ნაწილი - სქემები, გაანგარიშებები, დეტალური სამუშაო ნახაზები და სპეციფიკაციები;

ტექნიკური სპეციფიკაციები

ცალკე უნდა დაერთოს პროექტს და უნდა მოიცავდეს სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის/კონტრაქტორისათვის ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობა-დანადგარებისათვის, სამუშაოთა შესრულების/გამოცდის მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისთვის.

პროექტის გრაფიკული ნაწილი

სამშენებლო ნახაზები შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისათვის მოთხოვნილი ნორმების და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მასშტაბებში და დეტალიზაციით. გრაფიკული

ნაწილი უნდა მოიცავდეს ობიექტის სიტუაციურ და გენერალურ გეგმებს. შენობა-ნაგებობების დეტალურ არქიტექტურულ და კონსტრუქციულ ნახაზებს. ელექტრო და ტექნოლოგიური მოწყობილობების განთავსების და მიერთების სქემებს, ყველა ზომის, ნიშნულის და ტექნიკური მახასიათებლის მითითებით. ნახაზებზე მოცემული უნდა იყოს სამუშაოთა მოცულობების და მასალათა სპეციფიკაციების ცხრილები. პროექტებს უნდა ახლდეს რენდერები.

1.2.4. საპროექტო დოკუმენტაციის სრული შემადგენლობა

- მოთხოვნათა შესაბამისად, სავალდებულოა დამუშავდეს საპროექტო დოკუმენტაციის შემდეგი ნაწილები
 - მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული და გეოლოგიური კვლევა;
 - არქიტექტურული ნაწილი;
 - კონსტრუქციული ნაწილი;
 - ვერტიკალური გეგმარება(წყლის გადაყვანის ჩვენებით);
 - სპეციფიკაციების ნაწილი;
 - ექსპლუატაციის ნაწილი (საჭიროების შემთხვევაში);
 - გარემოსდაცვითი ღონისძიებების მართვის პროექტი (საჭიროების შემთხვევაში);

არქიტექტურული ნაწილი

არქიტექტურული ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, როგორც გენერალური გეგმის, ასევე ცალკეული შენობების-ნაგებობების შესახებ;

ობიექტის სიტუაციური გეგმა მიმდებარე ინფრასტრუქტურის ჩვენებით, მასშტაბი (1:5000 ან 1:10 000);

ობიექტის გენერალური გეგმა მსხვილ მასშტაბში (1:200 ან 1:500);

დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობების სამ განზომილებიანი მაღალი ხარისხის ვიზუალიზაცია (რენდერები მაღალი რეზოლუციით)

დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზები: გეგმები, ჭრილები, ფასადები, სათავსების დანიშნულების მითითებით, მასშტაბი (1:50 ან 1:100)

დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის გრძივი და განივი ჭრილები, მასშტაბი (1:50 ან 1:100);

შენობა-ნაგებობის სახურავის გეგმები წყლის გადაყვანის ორგანიზების ჩვენებით, მასშტაბი (1:50 ან 1:100), წყალგადამყვანების ფრაგმენტების დეტალური ნახაზები და კვანძები (მასშტაბი 1:5, 1:10 ან 1:20), სამუშაოების და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;

დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის კედლებისა და ტიხრების მარკირების გეგმები მათი ტიპების ჩვენებით, მასშტაბი (1:50 ან 1:100), კედლებისა და ტიხრების ტიპების ფრაგმენტების დეტალური ნახაზები და კვანძები (მასშტაბი 1:5, 1:10 ან 1:20), სამუშაოების და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;

კონსტრუქციული ნაწილი

კონსტრუქციული ნაწილის განმარტებითი ბარათი, სადაც აღწერილი უნდა იყოს საპროექტო გადაწყვეტილებები, კონსტრუქციული გადაწყვეტილებების დასაბუთება/სათანადო ანგარიშები, დატვირთვების და საანგარიშო მონაცემების მითითებით.

კონსტრუქციული მუშა ნახაზები (სქემები, დეტალები, კვანძები (მ. 1:100, 1:50, 1:25); სამუშაოების და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები.

შენობის კონსტრუქციული მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროა, ზედმიწევნით სიღრმისეულ კონსტრუქციულ კვლევასა და ანალიზზე დაყრდნობით შემუშავდეს შენობის კონსტრუქციული გამაგრების მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებული იქნება უბნის სპეციფიურობა და გრუნტების თავისებურება.

ვიზუალური დათავლიერების და საარქივო დოკუმენტაციის საფუძველზე, შენობის გეომეტრიისა და მშენებლობის მეთოდის დეტალურ აღწერას; შენობის მზიდი კონსტრუქციისამჟამინდელი მდგომარეობის აღწერას, მათ შორის, დაზიანების პროცესის დინამიკის განსაზღვრას და აქტიური დაზიანებების და რისკის ქვეშ მყოფი მონაკვეთების იდენტიფიცირებას; საინჟინრო სეისმოლოგიური პირობების ზოგად შესწავლას; საჭიროებიდან გამომდინარე, სამშენებლო მასალის სიმტკიცის და კატეგორიის დადგენას; **შენობა-ნაგებობების კონსტრუქციების არსებული მდგომარეობის შესწავლა და აკრედიტირებული ორგანიზაციის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა კონსტრუქციულ მდგრადობაზე;**

მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობის, ენერგო, მატერიალურ და შრომით რესურსებზე, სასაწყობო და საყოფაცხოვრებო ფართებზე მოთხოვნილების შესახებ. განმარტებით ბარათში მოყვანილი იქნება აგრეთვე აუცილებელი უსაფრთხოების ტექნიკისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებანი.

სამშენებლო გენერალური გეგმა (მასშტაბი 1:500) დროებითი შენობა-ნაგებობების (ადმინისტრაციული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების დროებითი შენობები, დროებითი დახურული საწყობები და ღია სასაწყობო მოედნები, დროებითი გზები და სამშ. ტექნიკის სამანევრო მოედნები, დროებითი ელექტრო და წყალსადენის ქსელები, ტერიტორიის განათება დასხვ.) ჩვენებით. ობიექტის მშენებლობის კალენდარული და ფინანსური გრაფიკი.

1.2.5. განსაკუთრებული პირობა

პირველი ეტაპით განსაზღვრული მომსახურების და დოკუმენტაციის მიხედვით, კერძოდ უარყოფითი კონსტრუქციული დასკვნების საფუძველზე თუ შენობების შემდგომი ექსპლუატაცია დაუშვებელია, დამკვეთი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება კონსულტანტთან და შესაბამისად კონსულტანტის ანაზღაურება განსაზღვრულია პირველი ეტაპის სამუშაოების მიხედვით.

სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, მათ შორის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგაც, შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მიმწოდებელი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში, და საჭიროების შემთხვევაში მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება-შეთანხმებაში, ასევე ტექნიკური დავალების დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში.

1.2.6. შემსყიდველის წვლილი

შემსყიდველი გადასცემს მიმწოდებელს მის ხელთ არსებულ ყველა მასალას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს მომსახურების გაწევისათვის.

პუნქტი 1.3. მომსახურების მიწოდების ვადები

1.3.1. ხელშეკრულების ხელმოწერიდან 45 კალენდარული დღის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითწარუდგინოს შემსყიდველს წინამდებარე ტექნიკური დავალების I ეტაპით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

1.3.2. II ეტაპით გათვალისწინებულ ესქიზური პროექტის მიწოდების ვადაა I ეტაპით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

პუნქტი 1.4. მომსახურების მიწოდების ფორმა და ადგილი

1.4.1. მოსახურების ყველა ეტაპის ანგარიში წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით.

1.4.2. მომსახურების I და II ეტაპით გათვალისწინებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე ბეჭდური ვერსიით მყარი ასლის სახით, წარმოდგენილ მასალებს თან უნდა დაერთოს მათი ელექტრონული ვერსიები (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - AutoCAD/ArchiCAD და PDF ფორმატებში).

1.4.3. მომსახურების ყველა ეტაპით გათვალისწინებული დოკუმენტაცია წარდგენილ უნდა იყოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა#77

განფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს ცალკეული ეტაპების მიხედვით შემდეგი პროპორციით:

I ეტაპით გათვალისწინებული სამიუშაო-კვლევითი სამუშაოები და არსებული შენობ(ებ)ის აზომვა-ფიქსაცია - ხელშეკრულების ფასის არაუმეტეს 60%;

II ეტაპით გათვალისწინებული ესქიზური პროექტი - ხელშეკრულების ფასის დანარჩენი ღირებულება.

ყოველი ეტაპის დასრულების შემდგომ, წინა ეტაპის შედეგებიდან გამომდინარე, მომდევნო ეტაპზე გადასვლა ხდება მხოლოდ დამკვეთის თანხმობის მიღების შემთხვევაში.

შენიშვნა: წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია უნდა პასუხობდეს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების (ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე) მოთხოვნებს, რის დასტურადაც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი აკრედიტაციის მქონე სპეციალისტის/ექსპერტის დასკვნა.

მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ძალებითა და ხარჯით უზრუნველყოს სახელმწიფო ორგანოებისაგან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა ნებართვის მოპოვება.

ნორმატიული დოკუმენტები:

- საქართველოს მთავრობის დადგენილება N41 2016 წლის 28 იანვარი. შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N255 2019 წლის 31 მაისი მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ;
- მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი (#732)
- შიდა დოკუმენტი (ზოგადი რეკომენდაციები და მოთხოვნები)
- 2001 წლის ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება #308 ნ
- სეისმომედეგი მშენებლობა (პნ 01.01-09);
- შენობის და ნაგებობის ფუძეები (პნ 02.01-08);
- ბეტონისა და რკინა ბეტონის კონსტრუქციები (პნ 03.01-09);
- საქართველოს კლიმატოლოგია (პნ 01.05-08);
- წყალმომარაგების და კანალიზაციის გარე ქსელები და ნაგებობები (მწ 07.01-09);
- СП 1.13130.2009, СП 2.13130.2012, СП 4.13130.2009. Системы Противопожарной Защиты;
- СНиП II-25-80 ДЕРЕВЯННЫЕ КОНСТРУКЦИИ;

- СНиП 2.01.07-85 НАГРУЗКИ И ВОЗДЕЙСТВИЯ;
- СНиП 2.07.01-89 ГРАДОСТРОИТЕЛЬСТВО ПЛАНИРОВКА И ЗАСТРОЙКА ГОРОДСКИХ И СЕЛЬСКИХ ПОСЕЛЕНИЙ;
- ГОСТ 25772-83. Ограждения лестниц, балконов и крыш стальные;